

მოგესალმებით ძვირფასო სტუმრებო, კოლეგებო, ჩემო ამომრჩევლებო!

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მოგახსენებთ ვარ ორგზის მოწვევის საკრებულოს წევრი, 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ვმონაწილეობდი , „ქართული ოცნების“ პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატი, 2017 წელს კი გავხდი ქალაქ ოზურგეთის N1 ოლქის ზვანი-მოიდანახეს მაჟორიტარი დეპუტატი.

გეტყვით პირდაპირ, რომ ეს ჩემი არჩევანი იყო. ერთგვარი გამოწვევა, უპირველესად საკუთარი თავისთვის მეჩვენებინა ,როგორ შევძელი ჩემს ქალაქში თავის დამკვიდრება, როგორ მიცნობს ჩემი კუთხე, ჩემი უბანი , რას ელოდება იგი და რას მიიღებს ჩემი არჩევის შემთხვევაში.

გამოგიტყდებით რთული გამოწვევაა, მაგრამ მეტნაკლებად მიცნობთ და დამერწმუნებით, რომ სირთულე ძნელად მაბრკოლებს და პირიქით, უფრო დიდ მოტივაციას მიქმნის.

ანგარიშის გაცნობამდე არ შემძლია მადლობა არ გადავუხადო ჩემს კოლეგებს საკრებულოში, რომლებმაც დიდი ნდობა გამომიცხადეს და ამირჩიეს (უკვე მეორედ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ და ამავე დროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარედ. საკრებულოს წევრობა უკვე დიდი პასუხისმგებლობაა, არამცთუ თანამდებობა. კოლეგებო, ვაცნობიერებ ამ ნდობას და მთელი გულით ვცდილობ , იმედი არ გაგიცრუოთ. შეფასება თქვენთვის მომინდვია.

მინდა მოგახსენოთ, რა გავაკეთე ამ ერთი წლის მანძილზე, როგორ ვიღვაწე საკრებულოს წევრის სტატუსით :

როგორც საკრებულოს კომისიის წევრი, ვმონაწილეობ სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მუშაობაში, ასევე ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.

ზემოაღნიშნულ პერიოდში ვმონაწილეობდი საკრებულოს და ბიუროს სხდომებში, კომისიისა და ფრაქციის სხდომებში. დავესწარი საკრებულოს 11 მორიგ და 7 რიგარეშე სხდომას. ბიუროს 17, კომისიების 43 და ფრაქციის 12 სხდომას.

აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივი აქტების განხილვა-დამტკიცებაში, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესი, ირაკლი სირაძესთან ერთად მოვახერხეთ და შევძელით ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ცვლილება ჩვენი მოქალაქეების სასიკეთოდ. გასულ წელთან შედარებით გავზარდეთ იმ ადამიანების სამედიცინო დახმარების გაწევის ფინანსური ხარჯი, რომლებსაც ეს ურთულესი დაავადება გააჩნია. ასევე გავზარდეთ დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა დახმარების პროგრამა 800-დან 1200 ლარამდე; დავამატეთ ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიისა და ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია) დაფინანსების პროგრამა; გავზარდეთ სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამაში არსებული ბიუჯეტი, რომელმაც გასულ წელს განსაკუთრებული პრობლემები გადაუწყვიტა ჩვენს მოქალაქეებს.

- დებულებები, რომლებიც შეეხებოდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემას;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესს;

ძალიან მნიშვნელოვანია ვინ უხელმძღვანელებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს. ამიტომაც აუცილებელ მოთხოვნად დავტოვეთ კვალიფიკაციის მაღალი დონე-უმაღლესი და შესაბამისი პროფესიული განათლება.

- პროექტი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018-2020 წლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;

ჩემი უფლებამოსილების განხორციელება დავიწყე იმ პრობლემებზე ზრუნვით, რომელიც გამოიკვეთა წინასაარჩევნო შეხვედრების დროს. ვთვლი რომ არჩევნების დასრულებით დაიწყო ყველაზე დიდი საფიქრალი იმ გამოწვევებზე, რაც დავინახე და დამიკვეთა ამომრჩეველმა. ეს იყო ქუჩების მოწესრიგება, მოასფალტება, რეაბილიტაცია, კანალიზაციის არხების მოწესრიგება, საცხოვრებელი კორპუსების ლიფტების დამონტაჟება, საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება, აღდგენა და გადახურვა, სპორტული მოედნების და სხვა სახის ობიექტების მოწყობა, დასუფთავების ეფექტიანი მართვა, წყალმომარაგების ქსელის შეკეთება, სოციალურ წესში ცვლილებების შეტანა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ადამიანების დახმარება, სოციალურ სააგენტოსთან შუამდგომლობა;

მოქალაქეებთან შეხვედრის დროს წამოჭრილი პრობლემებიდან კომპეტენციის ფარგლებში დახმარება გაეწია ყველა მოქალაქეს. ვერ ვიხსენებ შემთხვევას, როცა ჩემი ამომრჩევლის ინტერესი არ ყოფილიყოს გათვალისწინებული და შემოსული განცხადება რეაგირების გარეშე დარჩენილიყოს. ჩემი რეკომენდაციით 2 ადამიანს, შშმ პირს დაენიშნა სოციალური პენსია, საკრებულოს ბიუჯეტის განხილვისას წარმოვადგინე ინიციატივა შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნისათვის, რაც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ შენობაში ლიფტის მოწყობას. ასევე მოვითხოვე სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალისათვის სახელფასო ანაზღაურების ზრდა, რაც სამწუხაროდ არ დაკმაყოფილდა, მაგრამ ვმუშაობთ ამ ადამიანებისათვის სახელფასო დანამატის მისაღებად რესურსის მოძიებაზე.

აქტიურად ვაწვდი მოსახლეობას ინფორმაციას სოციალური შემწეობის დანიშვნისა და მოხსნის შესახებ. ყველაზე მეტად ამომრჩევლებს აწუხებთ სოციალური ქულების მინიჭების საკითხი. დღეს გვაქვს აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა, მოგეხსენებათ რეფორმის ფარგლებში გამარტივდა სოციალური შემწეობის დანიშვნის საკითხი. ამისთვის მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს, უმრავლესობის ლიდერს საქართველოს პარლამენტში, ბატონ არჩილ თალაკვაძეს. მისი აქტიურობით გახდა

შესაძლებელი პრობლემის სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტა. დღეს არც საზღვრის გადაკვეთა და არც დროებითი სამუშაო , ან ფინანსური გზავნილის დაფიქსირება არ არის შეჭირვებული ოჯახისთვის ფინანსური შემწეობის მოხსნის საფუძველი. პრობლემები შეეხებოდა ელექტროენერჯის ხარჯის საფასურის დავალიანებას, რომელიც რამდენიმე შეჭირვებულ ოჯახს გააჩნდა. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით მათთვის საკითხის გადაწყვეტა, რადგან ეს ყველაფერი საკუთრების რეგისტრაციასთან და საბანკო დავალიანებებთან იყო დაკავშირებული. ვფიქრობთ ამის გამოსწორებასაც შევძლებთ.

ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტში ორგანიზებულ კულტურულ, სპორტულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო - შემეცნებით ღონისძიებებში, ახალგაზრდულ პროექტებსა და პროგრამებში; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეების და მერიის სამსახურების მიერ მოწვეულ თათბირებსა და სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და საკონსულტაციო თათბირებში. მერიასთან თანამშრომლობისას განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე 18-დან 21- წლამდე ასაკის მინდობის აღზრდიდან გამოსული ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას;

მოგეხსენებათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ აჩვენა გამჭვირვალებობისა და საჯაროობის საუკეთესო მაგალითი ქვეყნის მასშტაბით . გვინდა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი გავხადოთ უფრო ხელმისაწვდომი ჩვენი მოქალაქეებისათვის. [www.ozurgeti.gov.ge](#) ვგეგმავთ ვებ- გვერდს დაემატოს მოქალაქეთა ფორუმი, რომლის საშუალებითაც ადამიანები ვებ-გვერდზე შეძლებენ საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებას და შშმ პირებისათვის, კონკრეტულად უსინათლოთათვის ვებ-გვერდს დაემატოს ახალი ფუნქცია ხმოვანი შეტყობინებით ინფორმაციის მიღება.

საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, აქტიური პარტნიორული ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან, კულტურულ -ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმთან“, „ქალთა საკონსულტაციო ცენტრთან“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან და თავისთავად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. მათ მიერ ჩატარებულმა ტრენინგ-სემინარებმა და კონსულტაციებმა გარკვეული უნარები შემძინა და თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გამიღრმავა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის სამოქალაქო საზოგადოების

ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული -ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ონლაინ სასწავლო კურსი. მოგეხსენებათ თვითმმართველობის კოდექსით ჩვენი ვალდებულებაა სამართლებრივი აქტების მომზადება, განხილვა, დამტკიცება-მიღება. მინდა აღვნიშნო, რომ საკრებულოს წევრისათვის მეტად აუცილებელი ცოდნა შევიძინე და დღეს მე ნამდვილად მაქვს შესაძლებლობა, სამართლებრივად შევაფასო ესა თუ ის ნორმატიული აქტი ,რომელსაც მხარი უნდა დავუჭირო, ან პირიქით, არ უნდა მივიღო.

ტრენინგ -სემინარებმა ცოდნის გაფართოების გარდა, ძალიან ბევრ კომპეტენტურ ადამიანს დამაკავშირა, არა მარტო თვითმმართველობის და გენდერული თანასწორობის ექსპერტებს, არამედ კოლეგებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან და ეს გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებაა.

როგორც მაჟორიტარი , ვითხოვ სამოქალაქო ბიუჯეტირების დანერგვას მუნიციპალიტეტში. პროექტი შესაძლებელია განხორციელდეს განათლების, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, კომუნიკაციის, სოციალური დახმარების, სპორტის, კულტურის თუ საზოგადოებრივი სივრცის შექმნის მიმართულებით. სამწუხაროდ , ვერ მოვახერხე 2019 წლის ბიუჯეტში მსგავსი იდეის რეალიზება, მით უმეტეს ამის პრეცედენტები უკვე არსებობს მარნეულში, ბაღდათში, გორში, საჩხერესა და წალენჯიხაში. მოხარული ვარ, რომ ჩვენი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით OGP -ღია მმართველობის ქსელი საქართველოში პროგრამის ფარგლებში შესაძლებლობა გვეძლევა მხარი დავუჭიროთ სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტს. მოქალაქეები კენჭისყრით შეძლებენ პროექტის შერჩევას .

ქალაქში უდიდეს პრობლემაა მიუსაფარი ცხოველები. ამ საკითხისადმი განსაკუთრებულმა ინტერესმა განაპირობა, რომ 2018 წელს აპრილში მონაწილეობა მივიღე მიუსაფარ ცხოველთა მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, სადაც საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციასთან და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად განვიხილეთ შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის წესები, თავშესაფრების მონიტორინგის კონცეფცია. სქამწუხაროდ, აღსანიშნავია, რომ ამით დიდად არაფერი შეცვლილა. ოზურგეთში გადაადგილება რეალურად საფრთხის შემცველია. საჭიროა დაწესდეს მონიტორინგი, რამდენად ეფექტურად მუშაობს თავშესაფარი, დაცულია თუ არა ცხოველთა დაცვის კონცეფციით გათვალისწინებული ნორმები. ხდება თუ არა მაწანწალა ძაღლების აღრიცხვა, გაუვნებელყოფა და სტანდარტით გათვალისწინებული შესაბამისი

მომსახურების გაწევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცხოველთა ვაქცინაცია უამრავ პრობლემას აგვარებს, მაგრამ რამდენად სრულყოფილად ხორციელდება მიუსაფარი ძაღლების იდენტიფიკაცია, მიკროჩიპირება, სტერილიზაცია და ვაქცინაცია, მეორე. მინდა მეტი დრო დავუთმო ამ საკითხს და მაქვს ჩემი კოლეგების მხარდაჭერის იმედი, რომ ერთად შევძლებთ პრობლემის გადაჭრას ისე, რომ დაცული იქნას ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების საკითხი და ასევე დაცულ იქნას ცხოველთა დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციები.

ვფიქრობ აუცილებელია კომუნიკაციის გაუმჯობესება ჩვენს მოქალაქეებთან. ვხედავ, ჩვენი მოქალაქეების პრობლემების გადაწყვეტას ის კი არ უშლის ხელს, რომ ამის ნება არ არსებობს, არამედ ის, რომ ხელისუფლებას, როგორც ადგილზე, ისე ცენტრში, ამის შესახებ ნაკლები ინფორმაცია გააჩნია. გარდა იმისა, რომ მაქვს კანონმდებლობით მონიჭებული ვალდებულება-მოქალაქეების საკრებულოში მიღებისა, ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად, ვცდილობ თავად მივიდე თითოეული იმ ადამიანის ოჯახში, ვისაც რაიმე პრობლემა შეიძლება აწუხებდეს. წინასწარჩვენო პერიოდის განმავლობაში ჩემს გვერდით შეიკრა თანამოაზრეთა ძალიან აქტიური და ძლიერი გუნდი, რომელთანაც დღემდე მჭიდრო თანამშრომლობას ვაგრძელებ და მათი უშუალო მხარდაჭერით ყველა უბანში მაქვს დეტალური ინფორმაცია ჩემი ამომრჩევლების სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შესახებ. ყველაზე აქტიურად მიწევს დავეხმარო მოქალაქეებს სამედიცინო მომსახურების მიღებაში, კონკრეტულად ვუწევ რეკომენდაციას, ვშუამდგომლობ სოციალურ სააგენტოსთან , სამედიცინო დაწესებულებებთან, ზოგჯერ შესაბამის სამინისტროსთანაც. ვცდილობ არც ერთი მოქალაქე არ დარჩეს შემის, თბილი ტანსაცმლის, და საკვების გარეშე. და თუ ამას მუნიციპალური პროგრამებით ვერ ვახერხებ არის შესაძლებლობა კეთილი და ქველმოქმედი ადამიანების დახმარებით შევძლო გარკვეული დახმარების გაწევა. არ შემიძლია არ გადავუხადო განსაკუთრებული მადლობა ჩემს ერთგულ ამომრჩეველს „ქალბატონ ფოთოლა არობელიძეს, რომელმაც ჩემთან კომუნიკაციით და ჩემი უშუალო ჩართულობით არაერთი საქველმოქმედო აქტივობა განახორციელა, იქნებოდა ეს მრავალშვილიანი ოჯახები თუ სოციალურად დაუცველები.

საკითხები, რომლებიც ჩემს სამანდატო ოლქში უდიდეს სირთულეს წარმოადგენდა დღეს უკვე გადაჭრილია; კონკრეტულად , ეს შეეხება მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. ასფალტის საფარი დაიგო: ლანჩხუთის, გორკის, და ინგოროყვას ქუჩებზე, სადაც მოწესრიგდა წყლის სისტემა, რეაბილიტირებული იქნა შევარდნაძის და გენიჩესკის ქუჩები. აქაც დაიგო

ასფალტის საფარი. შეკეთდა სანიაღვრე არხები ლესელიძის პირველ ჩიხში და ლესელიძისა და დუმბაძის ქუჩების კვეთაში, ძმები ერქომაიშვილების ქუჩაზე. გადაიხურა 5 სახლი მუნიციპალიტეტის ხარჯით, 9 ოჯახს მიეწოდა სახურავი. კოსტავას ქუჩაზე ხანძრით დაზარალებულ ოჯახს გადაეცა 10 000 ლარი სახლის მშენებლობისათვის. კოსტავას 121 ნომერში მრავალბინიან კორპუსში მოწესრიგდა ეზო. განხორციელდა 46 ათასი ლარის ღირებულების პროექტი. ასევე, კოსტავას ქუჩაზე, მრავალსართულიან 2 კორპუსში გაკეთდა 2 სატვირთო და 1 სამგზავრო ლიფტი-24-24 და 19 ათასი ლარის ღირებულების. თუმცა, ვთვლი, რომ ეს მიზერულია და ჩემი კოლეგების მხარდაჭერით, უკვე მიმდინარე წლის ბიუჯეტში გამოვყავით თანხები გურიელის, ანდლულაძის, მაიაკოვსკის, საფო მგელაძის, ლერმონტოვის, იაკობ შემოქმედელის ქუჩების რეაბილიტაციისათვის. საფო მგელაძის და ლერმონტოვის ქუჩებზე მოეწყობა კანალიზაციის სისტემა. რაც მართლაც განსაკუთრებული შემთხვევაა. მადლობა ქალაქის მერს და მის მოადგილეს ოსიკო თოთიბაძეს და ყველა მხარდამჭერს, ვინც ეს საშვილიშვილო საქმე გადაგვიწყვიტა. მეგობრობის ქუჩაზე მოწესრიგდება მრავალსართულიანი ბინის ეზო, რაც შეეხება კოსტავას ქუჩის მოსახლეობის ინტერესს, მინდა დავამშვიდო ისინი- მათ ექნებათ კანალიზაცია. მხარის გუბერნატორის აქტიური მხარდაჭერით უკვე მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა პროექტი დაფინანსდება მსოფლიო განვითარების ფონდიდან.

პრობლემად რჩება ზვანი -მოიდანახეს უბანში საბავშვო ბაღის აშენების საკითხი. კიტა მეგრელიძის ქუჩაზე მრავალსართულიანი ბინების თუნუქის პერანგი, კონკრეტული ადამიანებისათვის სახურავების პრობლემა, ბარათაშვილის პირველ ჩიხში წყლისა და ასფალტის საკითხი, მწოლიარე პოლიციელი ლესელიძის ქუჩაზე და რკინიგზის სადგურთან სარკინიგზო გადასასვლელთან შექმნილი მდგომარეობა, სადაც გადასასვლელი იტბორება და ფეხით მოსიარულეთათვის გავლა შეუძლებელია.

პრობლემა ბევრია, მაგრამ ვიცი რომ ყველაფერს მოვაგვარეთ. რადგან ჩემს გვერდით დგას „ქართული ოცნების“ გუნდი საკრებულოში. მე მაქვს მათი გულისხმიერების იმედი. სწორედ ამიტომ, ამ ხნის მანძილზე გაწეული თანადგომისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ დავით დარჩიას, თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ გიორგი ღურჯუმელიძეს, ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარეს ბატონ ტარიელ აროშიძეს, უმრავლესობის წევრებს, საკრებულოს აპარატის თითოეულ თანამშრომელს, ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის საქმიანობაში გაწეული

მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. ვფიქრობ ასე ერთობით და თანადგომით ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ.

არ არის მარტივი თვალი გაუსწორო გამოწვევებს, მაგრამ ჩემი მიზანია უფრო მეტია- ჩემთან მოსული ადამიანი ისე არ გავაბრუნო უკან, ოდნავ მაინც უკეთესად და ბედნიერად არ იგრძნოს თავი .